DGStZ

DEUTSCH-GEORGISCHE STRAFRECHTSZEITSCHRIFT
გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი

2/2018

**გამომცემლები**
პროფ. დოქტორი, საპატიო დოქტორი ჰაინერ ალვარტი
გერმანიის ფედერალური სასამართლოს ყოფილი მოსამართლე, დოქტორი აქსელ ბოეტტიხერი
პროფ. დოქტორი, საპატიო დოქტორი ოთარ გამყრელიძე
საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე,
პროფ. დოქტორი ნინო გვენეტაძე
გერმანიის ფედერალური სასამართლოს ყოფილი ვიცე პრეზიდენტი, დოქტორი ბურკჰარდ იენკე
საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლე, პროფ. დოქტორი დავით სულაქველიძე
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე,
პროფ. დოქტორი მერაბ ტურავა
პროფ. დოქტორი ედვარდ შრამი
პროფ. დოქტორი ბერნდ ჰაინრიხი
პროფ. დოქტორი მარტინ ჰეგერი

**მთავარი რედაქტორი**
ასისტენტი ანრი ოხანაშვილი (თსუ), LL.M. (იენა)

## შინაარსი

### სტატიები

**სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება ქმედითი მონანიების გამო**
ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქ. ***იოსებ ვარძელაშვილი***, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამოსამართლო ეთიკის დეპარტამენტის სისხლის სამართლის საქმეებზე სამოსამართლო ეთიკის სამმართველოს უფროსი 31

**ტრეფიკინგში „მიწოდება – მოთხოვნის ბაზარი“ – რეალობა, საფრთხეები და მის შესამცირებლად მიმართული ტენდენციები**
ასისტენტ-პროფესორი, სამართლის დოქ. ***ირინე ხერხეულიძე***, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 37

DEUTSCHE STIFTUNG FÜR INTERNATIONALE RECHTLICHE ZUSAMMENARBEIT E.V.
IRZ

DGStZ
DEUTSCH-GEORGISCHE STRAFRECHTSZEITSCHRIFT
გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი
2/2018

## სარედაქციო კოლეგია

პროფ. დოქ. საპატიო დოქ. ჰაინერ ალვარტი
ბრემენის მიწის სასამართლოს კოლეგიის
თავმჯდომარე ყოფილი მოსამართლე, დოქ.
ბერნდ ასბროკი
ბრემენის რაიონული სასამართლოს
ვიცე-პრეზიდენტი ელენ ბესტი
გერმანიის ფედერალური სასამართლოს ყოფილი
მოსამართლე, დოქ. აქსელ ბოეტტიხერი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს
თავმჯდომარე, პროფ. დოქ. ნინო გვენეტაძე
ასოცირებული პროფ. დოქ. ირაკლი დვალიძე
პროფ. დოქ. მარტინ პაულ ვასმერი
ასოცირებული პროფ. დოქ. გიორგი თუმანიშვილი
LL.M. (ბერლინი)
გერმანიის ფედერალური სასამართლოს ყოფილი
ვიცე პრეზიდენტი, დოქ. ბურკჰარდ იენკე
ადვოკატი დავიდ კონრადი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი
მოსამართლე, პროფ. დოქ. თამარ ლალიაშვილი
ასისტენტ-პროფ. დოქ. ლავრენტი მაღლაკელიძე
პროფ. დოქ. ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი LL.M.
(ფრაიბურგი)
ასისტენტი ანრი ოხანაშვილი LL.M. (იენა)
დოქ. ანნეკე პეტცშე
დოქ. მარტინ პიაცენა
დოქ. ეროლ პოლრაიხი
სამეცნიერო რეფერენტი მაქს-პლანკის სახელობის
საზღვარგარეთისა და სართაშორისო სისხლის
სამარლის ინსტიტუტში, დოქ. იოანა რინჩეანუ LL.M.
საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი
მოსამართლე, პროფ. დოქ. დავით სულაქველიძე
ტერეზა ტალჰამერი
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს
მოსამართლე, პროფ. დოქ. მერაბ ტურავა
ასოცირებული პროფ. მორის შალიკაშვილი LL.M.
(ჰამბურგი)
პროფ. დოქ. ედვარდ შრამი
ასისტენტ-პროფ. დოქ. თემურ ცქიტიშვილი
ასისტენტ-პროფ. დოქ. ლევან ხარანაული
ასისტენტი მაკა ხოდელი LL.M. (ფრაიბურგი)
ასოცირებული პროფ. დოქ. ბაჩანა ჯიშკარიანი LL.M.
(მიუნხენი)
პროფ. დოქ. მარტინ ჰეგერი
პროფ. დოქ. ბერნდ ჰაინრიხი

## ჟურნალის 2018 წლის მეორე გამოცემის სამუშაო ჯგუფი

**თარგმანი:**
ლადო სირდაძე (ჟურნალის სამუშაო ჯგუფის წევრი)
მარიკა ტურავა (ჟურნალის სამუშაო ჯგუფის წევრი)

**სამეცნიერო რედაქტირება ქართულ ენაზე და თარგმანის კორექტირება:**
ლადო სირდაძე (ჟურნალის სამუშაო ჯგუფის წევრი)

**სამეცნიერო რედაქტირება გერმანულ ენაზე და თარგმანის კორექტირება:**
სამართლის დოქ. მარტინ პიაცენა

**2018 წლის მეორე გამოცემაზე პასუხისმგებელი პირი და საბოლოო რედაქციული კონტროლი:**
ჟურნალის მთავარი რედაქტორი, ასისტენტი ანრი ოხანაშვილი LL.M. (იენა)

**ტექნიკური მხარდაჭერა:** გვანცა მახათაძე

# სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება ქმედითი მონანიების გამო

ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქ. ***იოსებ ვარძელაშვილი***, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამოსამართლო ეთიკის დეპარტამენტის სისხლის სამართლის საქმეებზე სამოსამართლო ეთიკის სამმართველოს უფროსი

## I. შესავალი

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება ქმედითი მონანიების გამო გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის[1] 68-ე მუხლით. შეიძლება ითქვას, რომ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების ერთ-ერთ საფუძველს ქმედითი მონანიება წარმოადგენს.

სტატიის მიზანია განხილულ იქნას ქმედითი მონანიების გამო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საკანონმდებლო რეგულირება. საინტერესოა, როგორ არის განმარტებული ზემოაღნიშნული ნორმა სისხლის სამართლის თეორიაში. აღსანიშნავია ისიც, რომ ქმედითი მონანიების გამო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებასთან დაკავშირებით არ არსებობს რაიმე სერიოზული გამოკვლევა და საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკა.

სტატიაში ქმედითი მონანიების გამო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება განხილული იქნება როგორც მატერიალური სისხლის სამართლის, ისე პროცესუალური თვალსაზრისითაც.

## II. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება ქმედითი მონანიების გამო (სისხლის სამართლის მატერიალური კანონმდებლობის მიხედვით)

ქმედითი მონანიების გამო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების პრობლემატური საკითხების განხილვამდე სასურველია, განმარტებულ იქნას სსკ-ის 68-ე მუხლის საკანონმდებლო დეფინიცია.

სსკ-ის 68-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ის, ვინც პირველად ჩაიდინა დანაშაული, რომლისთვისაც ამ კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება სამი წლით თავისუფლების აღკვეთას, შეიძლება გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ დანაშაულის ჩადენის შემდეგ ნებაყოფლობით გამოცხადდა ბრალის აღიარებით, ხელი შეუწყო დანაშაულის გახსნას და აანაზღაურა ზიანი.

იმისათვის, რომ პირი გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან ქმედითი მონანიების გამო სახეზე უნდა გვქონდეს 5 პირობა კუმულაციურად: 1) დანაშაული ჩადენილი უნდა იყოს პირველად; 2) ამ დანაშაულისთვის მაქსიმალური სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით არ უნდა იყოს 3 წელზე მეტი; 3) პირი ნებაყოფლობით უნდა გამოცხადდეს ბრალის აღიარებით; 4) ხელი უნდა შეუწყოს დანაშაულის გახსნას და 5) აანაზღაუროს ზიანი.

### 1. დანაშაულის პირველად ჩადენა

საინტერესოა, როგორ უნდა იქნას განმარტებული დანაშაულის პირველად ჩადენა. აქ შეიძლება მოვიაზროთ ორი შემთხვევა. პირველი, როდესაც პირს ადრე დანაშაული არასდროს არ ჰქონია ჩადენილი და მეორე, მართალია, ადრე ჩადენილი აქვს დანაშაული, თუმცა ამ დანაშაულისთვის ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებულია. თუ ზემოაღნიშნული ნორმა სიტყვა-სიტყვით იქნება განმარტებული, მაშინ დანაშაულის პირველად ჩადენაში უნდა მოვიაზროთ ისეთი შემთხვევა, როდესაც

[1] შემდეგში შემოკლებულია, როგორც სსკ.

ფაქტობრივად პირველად ჩადის პირი დანაშაულს. აღნიშნული მოსაზრებაა გატარებული სისხლის სამართლის თეორიაში. კერძოდ, „დანაშაულის პირველად ჩადენა პირდაპირი მნიშვნელობით ასახავს პირის მდგომარეობას, რომ მის მიერ ადრე არ ყოფილა ჩადენილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული რაიმე ქმედება."[2] ანალოგიურ მსჯელობას ვხვდებით სისხლის სამართლის პროცესის სახელმძღვანელოშიც. კერძოდ, „დანაშაულის პირველად ჩადენა გულისხმობს ისეთი პირის მიერ დანაშაულის ჩადენას, ვისთვისაც აღნიშნული დანაშაული არის პირველი. შესაბამისად, ნასამართლობაგაქარწყლებული პირი არ შეიძლება გათავისუფლებულ იქნეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან აღნიშნული საფუძვლით."[3] მოცემული მოსაზრება არ არის გასაზიარებელი შემდეგ გარემოებათა გამო: სსკ-ის 79-ე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, გაქარწყლებული ან მოხსნილი ნასამართლობა მხედველობაში არ მიიღება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, დანაშაულის კვალიფიკაციისა და სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, მოხსნილი ან გაქარწყლებული ნასამართლობის მხედველობაში მიღება დაუშვებელია. სწორედ ამ კუთხით უნდა იქნას განმარტებული ზემოაღნიშნული საკითხიც. დანაშაულის პირველად ჩადენაში უნდა მოვიაზროთ არა მხოლოდ ისეთი შემთხვევა, როდესაც პირი ფაქტობრივად პირველად ჩადის დანაშაულს, არამედ ისეთი შემთხვევაც, როდესაც მართალია, პირს ადრე ჩადენილი აქვს დანაშაული, მაგრამ ამ დანაშაულისთვის ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებულია. წინააღმდეგ შემთხვევაში აზრი ეკარგება ნასამართლობის მოხსნისა და გაქარწყლების ინსტიტუტს. ამასთან, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ნორმა (დანაშაულის პირველად ჩადენა) არ უნდა განიმარტოს ბრალდებულის საზიანოდ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მსჯელობს ასოც. პროფესორი *ი. დვალიძეც*. იგი წერს: „თუ პირს ჩადენილი აქვს დანაშაული, მაგრამ ეს დანაშაული სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენით დადგენილი არ არის და პირი კვლავ ჩაიდენს დანაშაულს, ასეთ ვითარებაში ქმედითი მონანიების გამოყენება არ შეიძლება, რადგან კანონმდებლის მიზანია, ჰუმანიზმის პრინციპზე დაყრდნობით, არ გამოიყენოს სასჯელი იმ პირის მიმართ, ვინც ფაქტობრივად პირველადაა დანაშაულის ჩამდენი და მისი დანაშაულებრივი მიდრეკილება სიმყარით არ გამოირჩევა."[4] როგორც ვხედავთ, აქაც აქცენტი კეთდება ფაქტობრივად დანაშაულის პირველად ჩადენაზე. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ თუ პირმა დანაშაული ჩაიდინა, მაგრამ სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილი არ არის, დანაშაულის ჩადენა მხედველობაში არ უნდა მივიღოთ, ვინაიდან დაირღვევა უდანაშაულობის პრეზუმფცია. დანაშაულის ჩადენა დადასტურებული უნდა იყოს სასამართლოს მიერ. ხოლო თუ პირის მიმართ სასამართლოს მიერ არ არის გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი, დანაშაული იურიდიულად არ არსებობს და, შესაბამისად, შეუძლებელია დანაშაულის ჩადენაზე საუბარიც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გასაზიარებელია პროფ. *მერაბ ტურავას* მოსაზრება, რომელიც მიუთითებს: „დანაშაულის პირველად ჩადენა, სსკ-ის 68-ე და 69-ე მუხლებისათვის, ნიშნავს არა მარტო პირველ ნასამართლობას, არამედ იმ შემთხვევასაც, როცა პირს ახალი დანაშაულის ჩადენის დროს წარსული ნასამართლობა უკვე მოხსნილი ან გაქარწყლებული აქვს."[5]

## 2. მაქსიმალური სასჯელი

ქმედითი მონანიების გამო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების მეორე წინაპირობაა ის, რომ ჩადენილი დანაშაულისთვის გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ უნდა აღემატებოდეს 3 წლით თავისუფლების აღკვეთას. მაგალითად, სსკ-ის 177-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, შესაძლებელია,

[2] სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, ავტორთა კოლექტივი, რედ. ნაჭყებია, გურამ/თოდუა, ნონა, 2016, გვ. 573.

[3] *თოლორაია, ლონდა,* საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, თბილისი, 2015, გვ. ველი 42.

[4] *დვალიძე, ირაკლი,* სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბილისი, 2013, გვ. 150.

[5] *ტურავა, მერაბ,* სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მერვე გამოცემა, თბილისი, 2010, გვ. 300.

გამოვიყენოთ აღნიშნული ნორმა, ვინაიდან სსკ-ის 177-ე მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას სამ წლამდე ვადით. ქმედითი მონანიების გამო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება შესაძლებელია არა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება 3 წლით თავისუფლების აღკვეთას, არამედ იმ შემთხვევაშიც, როცა კონკრეტული მუხლი ან მუხლის ნაწილი ითვალისწინებს სხვა სასჯელებს, მაგალითად, ჯარიმას, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას, შინაპატიმრობას და ა. შ.

## 3. ნებაყოფლობით ბრალის აღიარებით გამოცხადება

ქმედითი მონანიების გამო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების შემდეგი წინაპირობა ნებაყოფლობით ბრალის აღიარებით გამოცხადებაა. ნებაყოფლობით ბრალის აღიარებით გამოცხადება ნიშნავს იმას, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული და აღნიშნულის შემდეგ შეუძლია მიიმალოს, მაგრამ ცხადდება სამართალდამცავ ორგანოში ბრალის აღიარებით.

ბრალის აღიარებით გამოცხადება კანონმდებლობით მინიჭებული უფლებაა, რომელიც გულისხმობს სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოებისათვის ნებაყოფლობით მიმართვას ჩადენილი დანაშაულის შესახებ, თუ პირს ჰქონდა ობიექტური შესაძლებლობა, არიდებოდა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასა და სასჯელს.[6]

სუბიექტური პირობიდან უნდა გამოიყოს ბრალის აღიარება ნებაყოფლობით. აქ განმსაზღვრელია მოტივის ფორმირების ნებაყოფლობითობა და მოტივის ზნეობრივი კრიტერიუმებით შეფასებას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ე.ი. მოტივი მთავარია იყოს ავტონომიური და არა ჰეტერონომიული.[7]

საინტერესოა, უნდა ჩაითვალოს თუ არა ნებაყოფლობით ბრალის აღიარებით გამოცხადებად ისეთი შემთხვევა, როდესაც პირს ახლობელი, მეგობარი ურჩევს გამოცხადდეს სამართალდამცავ ორგანოში. ვფიქრობ, ამ შემთხვევაშიც მოცემულია აღნიშნული კრიტერიუმი, ვინაიდან გამოცხადება მაინც ნებაყოფლობითია. მაგრამ ვითარება შეიცვლება, თუკი პირს აიძულებენ, გამოცხადდეს ბრალის აღიარებით, წინააღმდეგ შემთხვევაში განაცხადებენ მის მიერ დანაშაულის ჩადენის თაობაზე. თუ ამ შემთხვევაში პირი გამოცხადდება ბრალის აღიარებით, ნებაყოფლობით გამოცხადებად არ უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან ადგილი ჰქონდა იძულებას.

## 4. დანაშაულის გახსნისთვის ხელის შეწყობა

დანაშაულის გახსნისთვის ხელის შეწყობა ერთ-ერთი სავალდებულო კრიტერიუმია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გასათავისუფლებლად. დანაშაულის გახსნაში ხელის შეწყობა ნიშნავს იმას, რომ, მაგალითად, პირი ასახელებს დანაშაულის თანამონაწილეებს, ეხმარება გამოძიებას მტკიცებულებათა მოპოვებაში, აწვდის სამართალდამცავ ორგანოებს საქმისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას და ა. შ.

## 5. ზიანის ანაზღაურება

ზიანის ანაზღაურებაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების ერთ-ერთი სავალდებულო პირობაა. გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით, ზარალის ანაზღაურება მსხვერპლსა და დამრღვევს შორის ურთიერთობის დაბალანსებით თავის თავში მოიცავს აღდგენით მართლმსაჯულებას.[8] ზიანის ანაზღაურება შესაძლებელია ისეთი დანაშაულის შემთხვევაში, როდესაც ზიანი ობიექტურად არსებობს. მაგალითად, ქურდობის შემდეგ პირს შეუძლია, დააბრუნოს მოპარული ნივთი. მაგრამ შესაძლებელია ჩადენილი იყოს ისეთი დანაშაული, რა დროსაც ზიანის ანაზღაურება ობიექტურად შეუძლებელი იყოს. მაგალითად, პირმა მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება,

[6] სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, ავტორთა კოლექტივი, რედ. ნაჭყებია, გურამი/დვალიძე, ირაკლი, თბილისი, 2007, გვ. 403.

[7] *დვალიძე, ირაკლი,* სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბილისი, 2013, გვ. 151.

[8] *მჭედლიშვილი-ჰედრიხი, ქეთევან,* წიგნში: თოდუა, ნონა, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბილისი, 2016, გვ. 719.

დაამზადა ყალბი დოკუმენტი და ა. შ. ამ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ მეხუთე პირობა არ არის მოცემული, დანაშაულის ბუნებიდან გამომდინარე, შესაძლებელია, პირი გავათავისუფლოთ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან ქმედითი მონანიების გამო.

როგორც უკვე აღინიშნა, იმისათვის, რომ პირი გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან ქმედითი მონანიების გამო მოცემული უნდა იყოს ზემოთ ჩამოთვლილი 5 პირობა. თუ ერთ-ერთი მათგანი არ არის სახეზე, 68-ე მუხლის გამოყენება დაუშვებელია, გარდა გამონაკლისი შემთხვევისა, რაზეც უკვე იყო საუბარი. ამასთან, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 68-ე მუხლში საუბარია პროცესის მწარმოებელი პირის დისკრეციაზე, „შეიძლება გათავისუფლდეს" და არ არის მითითება იმპერატიულ ვალდებულებაზე. ე. ი. თუ სახეზე გვაქვს ზემოაღნიშნული კრიტერიუმები, შესაძლოა, პირი გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისგან. საინტერესოა, როგორ არის დარეგულირებული აღნიშნული საკითხი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით.

## III. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება ქმედითი მონანიების გამო (სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით)

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის[9] 105-ე მუხლის პირველი ნაწილის „ლ" ქვეპუნქტის თანახმად, გამოძიება უნდა შეწყდეს, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს ან უნდა შეწყდეს ქმედითი მონანიების გამო. როგორც ვხედავთ, პროცესუალური კანონმდებლობა ქმედითი მონანიების შემთხვევაში, გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის სავალდებულო შეწყვეტაზე მიუთითებს. სსკ-ის 68-ე მუხლი კი პროცესის მწარმოებელ პირს ანიჭებს უფლებას გაათავისუფლოს ან არ გაათავისუფლოს დანაშაულის ჩამდენი პირი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან. ამ შემთხვევაში რომელი ნორმა უნდა იქნას გამოყენებული? მატერიალურის თუ პროცესუალურის? მიზანშეწონილია პროცესის მწარმოებელმა პირმა გამოიყენოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის ნორმა, რომელიც სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის იმპერატიულ ვალდებულებაზე უთითებს და არ უნდა იქნეს გადაწყვეტილება მიღებული პირის საზიანოდ. როდესაც ერთი და იგივე საკითხს ორი ერთი დონის კანონმდებლობა განსხვავებულად აწესრიგებს, გამოყენებული უნდა იქნას პირის სასარგებლოს მოქმედი ნორმა. ამასთან, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქმედითი მონანიების სპეციალური ნორმა გვაქვს სისხლის სამართლის კერძო ნაწილში – სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა კარში (სახელმწიფოს წინააღმდეგ დანაშაულის ქმედითი მონანიება, მუხლი 322), სადაც მითითებულია, რომ ის, ვინც ჩაიდინა ამ მუხლით გათვალისწინებული სახელმწიფო დანაშაული, მაგალითად, ჯაშუშობა, თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან, თუ ამის თაობაზე ნებაყოფლობით და დროულად განუცხადა ხელისუფლების ორგანოს და თუ თავიდან იქნა აცილებული საქართველოს ინტერესისათვის მოსალოდნელი ზიანი. როგორც ჩანს, აქ მითითებულია პირის სავალდებულო გათავისუფლებაზე და არა დისკრეციაზე. მაშინ, როდესაც სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები გაცილებით საშიშროების შემცველია და ამ დროს ხდება სავალდებულო გათავისუფლება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან, თუ არსებობს კანონით გათვალისწინებული საფუძვლები, ხოლო ზოგადი ნაწილით გათვალისწინებული ქმედითი მონანიების დროს (სსკ-ის 68-ე მუხლი), როდესაც ჩადენილია ნაკლებად მძიმე დანაშაული და მთელი რიგი საშეღავათო პირობები არსებობს, მით უფრო უნდა იყოს სავალდებულო პირის გათავისუფლება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან.

ასევე, საინტერესოა, რა ეტაპზე არის შესაძლებელი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება გამოძიების თუ სასამართლო სტადიაზე? აღნიშნულის თაობაზე არ არის მითითებული სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში. ვინაიდან აღნიშნული საკითხი კანონმდებლობით მოწესრიგებული არ არის, პირის გათავისუფლება შესაძლებელია როგორც გამოძიების, ისე სასამართლო განხილვის დროს. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა გარკვეულ მითითებას

[9] შემდგომში შემოკლებულია, როგორც სსსკ.

გვაძლევს ქმედით მონანიებასთან დაკავშირებით. კერძოდ, სსსკ-ის 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე" ქვეპუნქტის თანახმად, გამამტყუნებელ განაჩენს სასჯელის დანიშვნით და მისი მოხდისაგან გათავისუფლებით სასამართლო ადგენს, თუ განაჩენის გამოტანის მომენტისათვის **პირმა განახორციელა ქმედითი მონანიება.** საინტერესოა, რატომ უნდა დანიშნოს სასამართლომ სასჯელი და გაათავისუფლოს პირი მისი მოხდისგან, თუ პირმა განახორციელა ქმედითი მონანიება? ან განაჩენის გამოტანის დროს როგორ უნდა განხორციელდეს ქმედითი მონანიება? ამ კითხვებზე პასუხის გაცემა მარტივი არ არის. სსკ-ის 68-ე მუხლში საუბარია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებაზე, ხოლო თუ პირი გათავისუფლდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან, მაშინ სასჯელი რატომ უნდა დაენიშნოს? ამასთან, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება და სასჯელისაგან გათავისუფლება არ არის იდენტური ცნებები. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო მსჯელობაა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილებაში, სადაც ვკითხულობთ შემდეგს: „პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება ხდება მანამ, სანამ სასამართლო დაადგენს პირის დამნაშავეობას და მიიღებს გამამტყუნებელ განაჩენს. თუ პირის დამნაშავეობა დადგინდება და სასჯელი დაენიშნება, შეიძლება ის გათავისუფლდეს მისი მოხდისგან სასჯელის ან აღსრულების დაწყების შემდეგ, მაგრამ სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, ეს მხოლოდ სასჯელისგან გათავისუფლებაა და არა პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება.[10]

აღნიშნულიდან გამომდინარე, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების შემთხვევაში სასჯელი კი არ უნდა დაინიშნოს, არამედ სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა შეწყდეს. აღნიშნულის თაობაზე საუბარია სსსკ-ის 105-ე მუხლში. ამდენად, 105-ე და 269-ე მუხლებში წინააღმდეგობრივი მსჯელობაა განვითარებული. ასევე აღსანიშნავია, თუ როგორ უნდა განხორციელდეს განაჩენის გამოტანის დროს ქმედითი მონანიება იმ დროს, როცა ქმედითი მონანიების დროს სავალდებულოა პირის აქტიური მონაწილეობა დანაშაულის გახსნაში და ზიანის ანაზღაურება, რომ თავი დავანებოთ ნებაყოფლობით ბრალის აღიარებით გამოცხადებას (ეს უკანასკნელი შესაძლებელია მხოლოდ ძებნილი პირის გამოცხადების შემთხვევაში).

## IV. დასკვნა

სტატიაში განხილული იქნა ქმედითი მონანიების გამო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების პრობლემა. განმარტებული იქნა, თუ როგორ უნდა გავიგოთ დანაშაულის პირველად ჩადენა. დანაშაულის პირველად ჩადენა გულისხმობს არა მხოლოდ იმ შემთხვევას, როდესაც პირი ფაქტობრივად პირველად ჩადის დანაშაულს, არამედ ისეთ შემთხვევასაც, როცა მართალია ადრე ჩადენილია დანაშაული, მაგრამ ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებულია. რაც შეეხება ზიანის ანაზღაურებას, იგი შესაძლებელია ისეთი დანაშაულის შემთხვევაში, როდესაც ზიანი ობიექტურად არსებობს. ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც ობიექტურად შეუძლებელია ზიანის ანაზღაურება, აღნიშნული არ უნდა გახდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების დამაბრკოლებელი გარემოება.

სტატიაში ნამსჯელი და განხილულია საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული ქმედითი მონანიების ურთიერთმიმართება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობასთან, სადაც განსხვავებულად არის მოწესრიგებული აღნიშნული საკითხი. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში საუბარია ქმედითი მონანიების დროს სისხლისსამართლებრივი დევნის სავალდებულო შეწყვეტაზე, ხოლო მატერიალურ სისხლის სამართლის კოდექსში პროცესის მწარმოებელი პირის დისკრეციაზე. იმის გათვალისწინებით, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა პირისათვის შეღავათს ითვალისწინებს, გამოყენებული უნდა იქნას ეს უკანასკნელი.

და რაც ყველაზე მთავარია, ხარვეზიანია სსსკ 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე" ქვეპუნქტი, რომლის

[10] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 13 აპრილის №3/1/633, 634 გადაწყვეტილება, ხელმისაწვდომია: http://www.constcourt.ge/ge/legal-acts/judgments/saqartvelos-uzenaesi-sasamartlos-konstituciuri-wardgineba-saqartvelos-sisxlis-samartlis-saproceso-kodeqsis-269-e-muxlis-me-5-nawilis-g-qvepunqtis-konstituciurobis-taobaze-da-saqartvelos-uzenaesi-sasamartlos-konstituciuri-wardgineba-saqartvelos-sisxlis-sam.page.

თანახმადაც, გამამტყუნებელ განაჩენს სასჯელის დანიშვნით და მისი მოხდისაგან გათავისუფლებით სასამართლო ადგენს, თუ განაჩენის გამოტანის მომენტისათვის **პირმა განახორციელა ქმედითი მონანიება.** აქ ორ საკითხზე უნდა გამახვილდეს ყურადღება. 1) რატომ უნდა დაინიშნოს სასჯელი, როდესაც სახეზეა ქმედითი მონანიება და 2) განაჩენის გამოტანის დროს როგორ უნდა განხორციელდეს ქმედითი მონანიება. ქმედითი მონანიების შემთხვევაში, სასჯელი კი არ უნდა დაინიშნოს, არამედ სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა შეწყდეს. ხოლო რაც შეეხება განაჩენის გამოტანის მომენტისათვის ქმედითი მონანიების განხორციელებას, აღნიშნული ობიექტურად შეუძლებელია. ამდენად, სსსკ 269-ე მუხლი ხარვეზიანია და შესწორებას საჭიროებს.

# ტრეფიკინგში „მიწოდება – მოთხოვნის ბაზარი“ – რეალობა, საფრთხეები და მის შესამცირებლად მიმართული ტენდენციები

ასისტენტ-პროფესორი, სამართლის დოქ. ***ირინე ხერხეულიძე***, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## I. შესავალი

ტრეფიკინგი ყველაზე არაადამიანური, უხეში ტრანსნაციონალური დანაშაულია. მასთან საბრძოლველად არაერთი საერთაშორისო, ევროპული თუ ეროვნული დონის სამართლებრივი დოკუმენტია შემუშავებული, დაწყებული ჯერ კიდევ 1904 წლის სამართლებრივი ინსტრუმენტიდან „საერთაშორისო შეთანხმება თეთრი მონებით ვაჭრობის აკრძალვის შესახებ“[1] და დამთავრებული ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს 2011/36/EU დირექტივით „ადამიანით ვაჭრობის პრევენციის, მის წინააღმდეგ ბრძოლისა და მის მსხვერპლთა დაცვის შესახებ“[2].

ეს დოკუმენტები, პრაქტიკულად, ერთხმად აღიარებენ ტრეფიკინგის, როგორც რთულად გასამკლავებელი დანაშაულის, ბუნებას. სახელმწიფოებმა მიიღეს მთელი რიგი კონტრ-ზომებისა ტრეფიკინგთან საბრძოლველად, რომლებიც ფოკურისებულია პრევენციაზე, სისხლისსამართლებრივ დევნაზე, მსხვერპლთა დაცვაზე და სხვა სახელმწიფოებთან და ორგანიზაციებთან პარტნიორობაზე.[3] ტრეფიკინგის დასჯისკენ მიმართული პირველი საერთაშორისო დოკუმენტის (გაეროს ტრეფიკინგის საწინააღმდეგო ოქმი, ხელმოწერილი პალერმოში 2000 წელს) შექმნიდან ათი წლის თავზე სულ უფრო მეტმა სახელმწიფომ მიიღო ქმედითი ზომები ტრეფიკიორების სისხლისსამართლებრივი დევნის და ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების, აგრეთვე ამ დანაშაულის პრევენციის მიმართულებით. ამასთან დაკავშირებით, გაეროს ტრეფიკინგის საწინააღმდეგო ოქმი რეკომენდაციას უწევდა ე. წ. „5 P-ს პარადიგმის პრინციპის“ მხედველობაში მიღებას. იგი მოუწოდებდა, რომ კანონი ამ სფეროში უნდა დაიყოს 5 ჯგუფად, კერძოდ: პრევენციად, დაცვად, სისხლისსამართლებრივ დევნად, დასჯად და პარტნიორობად („prevention, protection, prosecution, punishment, partnership“).[4] რაც შეეხება საქართველოს, ტრეფიკინგთან ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკა ქვეყანაში ეფუძნება საყოველთაოდ ცნობილ „4 P-ს პრინციპს“ („prevention, protection, prosecution, partnership), რომელიც მიმართულია დანაშაულის პრევენციის, მსხვერპლთა დაცვის, პროაქტიული გამოძიებისა და ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი დევნისა და თანამშრომლობის ღონისძიებების გაძლიერებისაკენ.[5]

მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნულ დოკუმენტებში გადანაწილებულია ტრეფიკინგთან საბრძოლველი სხვადასხვა ასპექტი, მაინც მჭიდრო და ურთიერთდაკავშირებულია ყველა ის ნაბიჯი, რომლებიც მასთან ბრძოლას ეხება. სტატია უჩვენებს, რამდენად დიდია ტრეფიკინგის დანაშაულის გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის როლი მთლიანად ამ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხში და განსაკუთრებით კი როგორია მისი კორელაცია ტრეფიკინგში ექსპლუატირებულ ადამიანებზე მოთხოვნის (შემდგომში: „მოთხოვნა“) შემცირებასთან.

---

[1] *Morehouse, Christal,* Combating human trafficking, policy gaps and hidden political agendas in the USA and Germany, 1st edition, 2009, p. 26.

[2] დირექტივა ხელმისაწვდომია: http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32011L0036&from=EN

[3] *Kelemen, Katalin/Johansson, Märta C.,* Still Neglecting the Demand That Fuels Human Trafficking: A Study Comparing the Criminal Laws and Practice of Five European States on Human Trafficking, Purchasing Sex from Trafficked Adults and from Minors, 21 European Journal of Crime, Criminal Law and Criminal Justice, 2013, p. 247, 248.

[4] *Bressan, Serena,* Criminal Law against Human Trafficking within the EU: A Comparison of an Approximated Legislation, 20 European Journal of Crime, Criminal Law and Criminal Justice, 2012, p. 137, 139.

[5] საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემები, ხელმისაწვდომია: http://www.justice.gov.ge/Ministry/Department/309.

თუმცა საერთაშორისო დოკუმენტებში სხვადასხვა ბლოკად არის გათვალისწინებული პრევენცია, რომლის ნაწილსაც წარმოადგენს „მოთხოვნის“ შესუსტების მიზნით გატარებული ზომები და სისხლისსამართლებრივი დევნა და გამოძიება, აშკარაა კავშირი, რომელიც არსებობს „მოთხოვნის“ ამოსაძირკვად კრიმინალიზებული ქმედების სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოებისა და ტრეფიკინგში მიწოდება-მოთხოვნის ბაზრის შემცირებას შორის. ის, რომ საერთაშორისო დონეზე მეტ-ნაკლები სხვაობით მოხდა მსხვერპლის მომსახურების კრიმინალიზაცია, რომელიც სწორედ „ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ 2005 წლის ევროპული კონვენციის[6] მე-6 მუხლისა[7] და გაეროს „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“ 2000 წლის კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმის „ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების, ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ“[8] გამოძახილია, ნათლად მიუთითებს იმაზე, თუ რამდენად დიდ აუცილებლობას წარმოადგენს ამ ქმედების დასჯადობა და „მოთხოვნის“ შემცირება.

საკითხის კომპლექსურობიდან გამომდინარე, სტატიაში სპეციალური აქცენტია გაკეთებული პრობლემის გენდერულად სენსიტიურ ხასიათზე, მით უფრო, რომ დღეისათვის დასავლურ სამეცნიერო დ აკადემიურ წრეებში, წამყვანი ტენდენციის მიხედვით, წახალისებულია ინტერდისციპლინური კვლევები და სამართლებრივ ფემინიზმზე რეფერირება. წინამდებარე სტატიაც პრობლემის საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობის კვლევას და შეფასებას, გარკვეულწილად, გენდერული პერსპექტივიდან ახდენს.

## II. ტრეფიკინგში „მიწოდება-მოთხოვნის ბაზრის“ შესაზღუდად გადასადგმელი ნაბიჯების მნიშვნელობა და მათი კორელაცია სისხლის სამართლის საპროცესო მოქმედებებთან

აღსანიშნავია, რომ ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა არამარტო ადამიანით ვაჭრობის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასა და, შესაბამისად, გასატარებელ პროცესუალურ წესებს გულისხმობს, არამედ ასევე ეხება ექსპლუატირებული მუშახელისა და იძულებითი სექსუალური სერვისის გამწევთა მომსახურებით სარგებლობის კრიმინალიზაციას და ამ ტიპის საქმეთა სისხლისსამართლებრივი დევნისა და გამოძიების მნიშვნელოვან ასპექტებს.

ზოგადად, ტრეფიკინგის დანაშაულის არსის შემადგენელ კომპონენტებზე საუბრისას სამ ელემენტს გამოყოფენ. ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ სამი ძირითადი სვეტის მეშვეობით – როგორიცაა სქესი, მიგრაცია და კრიმინალი – განვითარდა ტრეფიკინგის დისკურსის იმ მიმართულებით, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ გლობალური ტრეფიკინგის კომპლექსს – მუდმივად მზარდ, ტრანსნაციონალურ, ტრეფიკინგის საწინააღმდეგო სამართლებრივ ჩარჩოს, რომელიც გამუდმებით მოუწოდებს სწრაფი და შეურიგებელი კანონმდებლობის შემუშავებისა და თანმიმდევრული ქმედებებისაკენ.[9] შესაბამისად, ტრეფიკინგის საწინააღმდეგო კანონმდებლობის მუდმივი განვითარების კვალდაკვალ ახალი რეგულაციების დაწესება მოითხოვს გლობალური მიგრაციისა და გენდერული კავშირების სირთულეთა გაგებას.[10] თავის მხრივ კი ეს ორი ასპექტი – მიგრაცია და გენდერული კომპონენტი – უდიდეს გავლენას ახდენს იმ პრობლემატურ საკითხზე, რომელიც განსახილველ სტატიაში ფოკუსის საგანს

[6] ტექსტში შემოკლებულია, როგორც ტრეფიკინგის ევროპული კონვენცია.

[7] აღნიშნული კონვენცია ხელმისაწვდომია: https://rm.coe.int/168008371d.

[8] ტექსტში შემოკლებულია, როგორც პალერმოს ოქმი.

[9] *Milivojevic, Sanja/Pickering Sharon,* Trafficking in People, 20 Years On: Sex, Migration and Crime in the Global Anti-Trafficking Discourse and the Rise of the Global Trafficking Complex, 25 Current Issues in Criminal Justice, 2013, p. 585, 590, ხელმისაწვდომია, http://www.austlii.edu.au/au/journals/CICrimJust/2013/23.pdf.

[10] *Milivojevic, Sanja/Pickering Sharon,* Trafficking in People, 20 Years On: Sex, Migration and Crime in the Global Anti-Trafficking Discourse and the Rise of the Global Trafficking Complex, 25 Current Issues in Criminal Justice, 2013, p. 585, 598. ხელმისაწვდომია, http://www.austlii.edu.au/au/journals/CICrimJust/2013/23.pdf.

წარმოადგენს და „მიწოდებისა და მოთხოვნის“ საკითხს უკავშირდება.

## 1. სექსუალურად ექსპლუატირებულ ტრეფიკინგის მსხვერპლთა და „მიწოდება-მოთხოვნის ბაზრის“ გენდერულად გამოკვეთილი ხასიათი

სხვადასხვა წყარო თანხმდება იმაზე, რომ რეგისტრირებულ მსხვერპლთა უდიდეს რაოდნებას ქალები წარმოადგენენ როგორც იძულებითი შრომის, ისე სექსუალური ექსპლუატაციის (მომსახურების) თვალსაზრისით. მსოფლიოს მუშათა ორგანიზაცია (ILO) იტყობინებოდა, რომ სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლთა 98% არის ქალი ან გოგო.[11] UNODC-ის 2009 წლის ანგარიშიც მსგავს დისპროპორციას ადასტურებს, როდესაც მიუთითებს რომ 2003-2006 წლებში რეგისტრირებულ მსხვერპლთა მთელი რაოდენობის 80%-84% ქალები ან გოგონები იყვნენ.[12] მდედრობითი სქესის მსხვერპლთა დისპროპორციული რაოდენობა ანგარიშგასაწევი გახდა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტისათვის, რათა მათ ადამიანთა ვაჭრობის თაობაზე 2009 წლის ანგარიშში სპეციალური ნაწილი მიეძღვნათ გენდერული დისბალანსისათვის, რაც ტრეფიკინგის შემთხვევებში აშკარად იკვეთებოდა.[13] აღნიშნული ანგარიში ქალების ამგვარ მოწყვლადობას მიაწერს ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სამოქალაქო ძირითად უფლებათა ნაკლებობას.[14] როგორც შეფასება გვიჩვენებს, ტრეფიკინგის მსხვერპლთა მთელი რაოდენობის 75% სექსუალური ექსპლუატაციისთვის გამოიყენება, საიდანაც უმრავლესობა ქალები და გოგონები არიან. სექსუალური ექსპლუატაციისთვის ქალთა ტრეფიკინგი წარმოადგენს თანამედროვე მონობის ყველაზე ჩვეულ ფორმას. ასეთ მსხვერპლებს წართმეული აქვთ მათი ელემენტარული ადამიანის ფუნდამენტური უფლებებიც კი, სხეულებრივ მთლიანობაზე უფლების ჩათვლით. გაერო და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია აფასებს, რომ 21-ე საუკუნის დასაწყისში ყოველწლიურად მსოფლიოში 4 მილიონი ადამიანის ტრეფიკინგი ხორციელდება, აქედან 500 000 მსხვერპლი შეედინება ევროკავშირის წევრ-სახელმწიფოებში. ექსპერტები თანხმდებიან, რომ მსხვერპლთა რაოდენობრივი ნიშნული გამუდმებით იზრდება. ადამიანთა მასების დინება, გადაადგილება ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან მკვეთრად არის გაზრდილი, დამატებით აფრიკიდან, ლათინური ამერიკიდან, კარიბის ქვეყნებიდან და აზიიდან უკვე არსებულ ნაკადთა დინებებთან ერთად. ადამიანით ვაჭრობა ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი ბიზნესია მსოფლიოში, რომლითაც ყოველწლიურად რამდენიმე მილიარდი დოლარი გამომუშავდება.[15]სხვადასხვა შედარებით ნაკლებად განვითარებული ქვეყნიდან „იაფი მუშახელის“ დინება მიმღებ სახელმწიფოში, სადაც მათი ექსპლუატაცია ხდება და ადამიანით ვაჭრობის „სექსუალური ექსპლუატაციის“ კომპონენტის აშკარად გენდერულად გამოხატული ხასიათი, რომლის სტატისტიკური დასტური მსხვერპლ ქალთა დისპროპორციულად მაღალ რიცხვში ვლინდება – არის ის ნათელი, მაგრამ სავალალო სურათი, რომელიც მოთხოვნა-მიწოდების ბაზრის შესწავლასა და მისი მეშვეობით ტრეფიკინგის პრევენციაში დაეხმარება სახელმწიფოებს.

არსებითად მნიშვნელოვანია იმის გაგება, რომ ადამიანით ვაჭრობა მუშაობს, როგორც მსოფლიო ბაზარი, რაც ფაქტობრივად განასხვავებს ამ ფენომენს მისი მსგავსი სხვა ისტორიული მოვლენებისაგან. ნებისმიერი სხვა ბაზრის მსგავსად, ადამიანის გაყიდვა პასუხობს ამ ადამიანებზე მოთხოვნას, რათა ისინი გამოყენებულნი იქნენ სხვა-

[11] *Belser, Patrick/De Cock,* Michaëlle/Mehran, Farhad, ILO Minimum Estimate of Forced Labour in the World, International Labour Office, 2005, p. 5-6, ხელმისაწვდომია: http://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/@ed_norm/@declaration/documents/publication/wcms_081913.pdf.

[12] *Goodman, Jill Laurie,* What We Know About Human Trafficking: Research and Resources, in Goodman, Jill Laurie/Leidholdt, Dorchen A., Lawyer's Manual on Human Trafficking, pursuing justice for victims, 2013, p. 4, ხელმისაწვდომია: https://www.nycourts.gov/ip/womeninthecourts/pdfs/lmht.pdf.

[13] United States Department of State, The 2009 Trafficking in Persons Report (2009) and United States Department of State, The 2010 Trafficking in Persons Report (2010), p. 36.

[14] Goodman, Jill Laurie, What We Know About Human Trafficking: Research and Resources, in Goodman, Jill Laurie/Leidholdt, Dorchen A., Lawyer's Manual on Human Trafficking, pursuing justice for victims, 2013, p. 4, ხელმისაწვდომია: https://www.nycourts.gov/ip/womeninthecourts/pdfs/lmht.pdf.

[15] *Locher, Birgit,* Trafficking in women in the European Union. Norms, Advocacy-networks and policy change, 1 ed., 2007, p. 21-22.

დასხვა საქმიანობისთვის (მუშად მშენებლობაზე ან რესტორანში მიმტანად, ადამიანის ორგანოთა ან ქსოვილის დონორებად, ან სექს-ინდუსტრიაში). ამ თვალსაზრისით, ადამიანით ვაჭრობა დიდად არ განსხვავდება ნარკოტიკებითა და იარაღით ვაჭრობისაგან, გარდა იმისა, რომ ამ დანაშაულში ცოცხალ ადამიანებს უყურებენ როგორც „დაუმუშავებელ ნედლეულს". ჩვეულებრივი დამთხვევა როდია რომ, ნარკოტიკით, იარაღით და ადამიანით ვაჭრობა ყველაზე მომგებიან ბიზნესს წარმოადგენს, რამდენადაც ასეთი ბაზარი მუშაობს არა თავისუფალი მარკეტის წესებით, არამედ ისეთი ბაზრის პირობებში, რომელიც იზღუდება და იკრძალება, რამდენადაც ქვეყნების უმრავლესობა ამგვარ ქმედებებს სისხლის სამართლის დანაშაულად მიიჩნევს და შესაბამის პასუხისმგებლობასაც აწესებს.[16] ასეთი მიწოდება-მიღების ბაზრის არსებობის პირობებში, მეტად თვალშისაცემი და, შესაბამისად, ტრეფიკიორთა საქმიანობის სისხლისსამართლებრივი დევნისა და გამოძიებისათვის ფრიად საყურადღებო ფაქტორია ის რომ, როგორც წესი, სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლთა უმეტესი ნაწილი ქალია.

ამგვარ პრაქტიკასთან დასაპირისპირებლად და მის აღმოსაფხვრელად სექსუალურ ექსპლუატაციის საფუძვლებთან ეფექტური ბრძოლაა საჭირო. ასეთ საფუძველს კი, თავის მხრივ, მოთხოვნა – მიწოდების ბაზარის არსებობა ქმნის. ქალების და ბავშვების ტრანსნაციონალური ტრეფიკინგი სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით დაფუძნებულია წარმგზავნი ქვეყნებიდან მსხვერპლის მიწოდებისა და მიმღები ქვეყნებისგან მათზე მოთხოვნის ბალანსს შორის. იქ სადაც პროსტიტუცია ყვავის, სექს-ბიზნესის მფლობელები ვერ ამარაგებენ ბაზრის მოთხოვნას ქალთა სათანადო რაოდენობით ადგილობრივ ბორდელებში, რისთვისაც მათ სჭირდებათ ქალების შემოყვანა სხვა ქვეყნებიდან.[17]

სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ტრეფიკინგსა და პროსტიტუციას, როგორც ურთიერთდაკავშირებულ სისტემებს შორის კავშირის გაანალიზებისას, კვლევები უჩვენებს, თუ რამდენად არიან ისინი დაკავშირებული და ამასთან, მომარაგებისა და მოთხოვნის დინამიკის შესწავლა უჩვენებს, თუ როგორ ფუნქციონირებს ეს სისტემა. მომარაგება ეფუძნება ადვილად გადმოსაბირებელ ქალთა შემთხვევებს. ისეთი ფაქტორები, როგორიცაა უმუშევრობა და სიღარიბე, მიჩნეულია ტრეფიკინგის მიზეზებად. წარმატებული მომავლის არ არსებობა, სიყვარულისა და დაცულობის ძიება, სიმდიდრე, დასავლური ცხოვრების სტილი – ძლიერი მოტივატორია ქალებისთვის, რომ სამსახური საზღვარგარეთ ეძებონ. საჯარო და პირად სივრცეში ქალის მიმართ განხორციელებული ძალადობა აიძულებს ქალებს გაექცნენ ამ პირობებს, მაშინ როცა ამ საქციელით ისინი მეტად მოწყვლადი ხდებიან ტრეფიკიორის მხრიდან მათი გადაბირების თვალსაზრისით.[18] შედარებით ნაკლები რისკისა და მაღალი სარგებელის გამო, სულ უფრო მეტად ხდება ნარკოტიკების და იარაღით ვაჭრობის ჩანაცვლება ქალებით ვაჭრობით და ეს ქმედება წარმოადგენს ორგანიზებული კრიმინალური ქსელის უპირატეს საქმიანობას. როდესაც სახელმწიფო მოხელეები მექრთამეობაში არიან ჩართული ან თანამშრომლობენ ტრეფიკიორებთან, ისინი თავიანთ ძალაუფლებას იყენებენ კრიმინალების დასაცავად და სარგებელს იღებენ ქალებთა სექსუალური ექსპლუატაციიდან. რამდენადაც კორუფცია და თანამშრომლობა იზრდება მათ შორის, მით უფრო უფერულდება და იშლება ზღვარი სახელმწიფოსა და კრიმინალურ ქსელს შორის. კრიმინალური ქსელისა და სახელმწიფოს ამგვარ შერწყმას ადგილი ჰქონდა ბევრ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში, რომლებიც წარმოდგენენ ქალებით ევროპის ბორდელების მომარაგების ძირითად წყაროს.[19] თანამდეროვე მონობის საქმეებში სახელმწიფო თანამდებობის პირთა ოფიციალური მონაწილეობის შემთხვევები აღმოჩენილია პოსტ-საბჭოთა სივრცის ყველა სახელმწიფოში, გარდა საქართველოს.[20] საკითხის გარშემო წარმოდგენილი ანგარიშები ნიდერლანდებიდან, გერმანიიდან და ავსტრალიიდან მიუთითებენ რომ, ლეგალიზე-

[16] *Parmentier, Stephan,* Epilogue: Human Trafficking Seen from the Future, 7 European Journal of Criminology, 2010, p. 95, 98.

[17] *Hughes, Donna M.*, Men Create the Demand; Women Are the Supply, 2000, 3.

[18] *Hughes, Donna M.,* The Demand Side of Sex Trafficking, Gender and Trafficking in Post-Soviet Space: A Case Study of Violation of Human Rights, 2007, p. 2.

[19] *Hughes, Donna M*, Men Create the Demand; Women Are the Supply, 2000, 4-5.

[20] გლობალური მონობის ინდექსი პოსტ-საბჭოთა სივრცის ჩათვლით, ხელმისაწვდომია: https://www.globalslaveryindex.org.

ბული პროსტიტუცია არათუ წარმოადგენს პრობლემის გადაჭრის გზას, არამედ იგი კიდევ უფრო მეტად ქმნის პროსტიტუციის, ტრეფიკინგისა და ორგანიზებული დანაშაულის ზრდის საფრთხეს.[21] თეთრი მონა ქალებით ვაჭრობა მე-20 საუკუნის დასაწყისში ტრეფიკინგის ადრეული ინდიკატორია. დღეს ადამიანით ვაჭრობა არ მიიჩნევა მხოლოდ სისხლისსამართლებრივ დანაშაულად, რომელიც რეგულირებული უნდა იქნეს ეროვნული სისხლის სამართლით და წევრ სახელმწიფოთა სისხლისსამართლებრივი მექანიზმებით, არამედ ის ასევე წარმოადგენს ადამიანის უფლებათა დამცველი აქტების და სხვა სამართლებრივი ინსტრუმენტების დარღვევას, და რომ სახელმწიფოებს აკისრიათ ვალდებულება, რომ შესაბამისი რეაგირება მოახდინონ მასზე. ამ სხვაობის დანახვა ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ როგორც ჩანს, ეს სხვაობა სათანადოდ ვერ არის შეფასებული ტრეფიკინგის რეგულირებისკენ მიმართულ პოლიტიკის უმრავლეს შემთხვევაში.[22]ამიტომ არის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ტრეფიკინგის ევროპული კონვენციის მე-19 მუხლზე აქცენტის გაკეთება, რომელიც, მიუხედავად მისი სარეკომენდაციო ხასიათისა, ჯერ მარტო იმიტომ არის მხედველობაში მისაღები, რომ ადამიანთა უფლებების სერიოზულ დარღვევას ეხება. ამ მხრივ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის[23] 143[3] მუხლზე აქცენტი რელევანტურია, რომელზედაც საუბარი ქვემოთ იქნება.

## 2. „მოთხოვნის“ შესუსტების მიზნით გასატარებელი ზომების საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩო

სახელმძღვანელო პრინციპებში, რომელიც ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს მიერ შეიქმნა სამართალდამცავი ორგანოებისათვის – პირდაპირი აქცენტია გაკეთებული მათ დანიშნულებაზე, რაც გულისხმობს ტრეფიკინგთან ბრძოლის თვალსაზრისით საერთაშორისო ვალდებულებების ეფექტურ განხორციელებას, პროაქტიული გამოძიებების წარმოებას, „ტრეფიკიორთა“ მიმართ წარმატებული სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისა და მსხვერპლთა/დაზარალებულთა უფლებების დაცვას.[24] მიუხედავად იმისა, რომ ტრეფიკინგის ევროპული კონვენციის თანახმად დაწესებულია სპეციალური ვალდებულება მოთხოვნის შესუსტების მიზნით გასატარებელი ზომების თაობაზე (მე-6 მუხლი) და პარალელურად რეკომენდირებულია მსხვერპლის მომსახურებით სარგებლობის კრიმინალიზაცია (მე-19 მუხლი), ევროპული და მსოფლიო საზოგადოების ძალისხმევა ამ მიმართებით უშედეგო იქნება, თუ ზემოაღნიშნული ზომების გატარებას თან არ ახლავს ამ ზომების ქმედითობისათვის პროცესუალური კუთხით გადასადგმელი ნაბიჯები, რაც ამ კატეგორიათა საქმეების სისხლისსამართლებრივი დევნისა და გამოძიების თავისებურებებში გამოიხატება. როგორც უკვე აღინიშნა, ერთადერთი გამოსავალი, რომ შემცირდეს მომარაგება-მიწოდების ინტერაქცია, – არის მოთხოვნის წინააღმდეგ ბრძოლა. ორი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი: პალერმოს ოქმი და ტრეფიკინგის ევროპული კონვენცია პირდაპირ ეხება მოთხოვნის შესუსტების მიზნით გასატარებელ საკანონმდებლო ან სხვა ზომებს, რათა არ მოხდეს ამ კუთხით ადამიანთა ექსპლუატაციისთვის ხელშეწყობა. განსაკუთრებით კი, ქალების და ბავშვების მიმართ, რომელთაც მივყავართ ტრეფიკინგამდე. პალერმოს ოქმი კიდევ უფრო აძლიერებს გაეროს 1949 წლის „ადამიანთა ვაჭრობისა და სხვათა პროსტიტუციის ექსპლუატაციის აკრძალვის შესახებ კონვენციის“ ძალისხმევას, რომელიც მიმართულია სქესობრივ ექსპლუატაციაზე მოთხოვნის წინააღმდეგ საბრძოლველად და უფრო აფართოებს მას, რათა მოიცვას პიროვნების ექსპლუატაციის ყველა ფორმა. პალერმოს ოქმი აცხადებს: „მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ

[21] *Hughes, Donna M*, Men Create the Demand; Women Are the Supply, 2000, 4-5.

[22] *Parmentier, Stephan,* Epilogue: Human Trafficking Seen from the Future, 7 European Journal of Criminology, 2010, 95, 97-98.

[23] ტექსტში სისხლის სამართლის კოდექსი შემოკლებულია, როგორც სსკ.

[24] ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშულის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა და დაზარალებულთა მოპყრობის სახელმძღვანელო პრინციპები სამართალდამცავი ორგანოებისათვის, შემუშავებული ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს მიერ, 2014, 1.

ან გააძლიერონ საკანონმდებლო ან სხვა ზომები, როგორიცაა საგანმანათლებლო, სოციალურ-კულტურული ღონისძიებები, მათ შორის ორმხრივი ან მრავალმხრივი თანამშრომლობის გზით, რათა შეზღუდონ ის მოთხოვნა, რომელიც ხელს უწყობს ნებისმიერი ფორმით ადამიანების, განსაკუთრებით კი ქალებისა და ბავშვების ექსპლუატაციას, რაც იწვევს ტრეფიკინგს".[25] ეს დებულება აღიარებს რომ, სწორედ მოთხოვნა წარმოადგენს ტრეფიკინგის არსებობისა და ზრდის ცენტრალურ საყრდენს და რომ, ამდენად, მოთხოვნის წინააღმდეგ საბრძოლველად მიმართული სახელმწიფოს ძალისხმევა ტრეფიკინგის პრევენციის სტრატეგიებს შორის არსებით ადგილს იკავებს.[26] ტრეფიკინგის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი მხარეებს აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებას, მიიღონ და გააძლიერონ ზომები სექსუალურ ექსპლუატაციაზე, იძულებით შრომაზე თუ სამსახურზე, მონობაზე და მონობის მსგავს პრაქტიკაზე, მომსახურებასა და ორგანოების ამოცლაზე მოთხოვნის შესუსტების მიზნით. ამ ამოცანისთვის დამოუკიდებელი მუხლის მიძღვნით კონვენციის ავტორები შეეცადნენ, ხაზი გაესვათ მოთხოვნასთან ბრძოლის მნიშვნელობაზე თავად ტრეფიკინგის პრევენციისთვის და მასთან ბრძოლისთვის.[27]

საკითხის გენდერული პრიზმიდან დასანახად მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო ღონისძიებების აღნიშვნაც, რომელთაც მოთხოვნის შესუსტებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ და ევალებათ არა მარტო სასარგებლო ცოდნა მიაწოდონ ბავშვებს ადამიანებით უკანონო ვაჭრობის ფენომენზე, არამედ მათი ყურადღება გაამახვილონ გენდერულ საკითხებზე, ადამიანის ღირსებისა და ხელშეუხებლობის პრინციპზე და სქესობრივი დისკრიმინაციის შედეგებზე.[28] ჯერ კიდევ გაეროს 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია საუბრობდა ადამიანის ღირსებასა და თავისუფლებაზე ტრეფიკინგის დანაშაულთან მიმართებით. ეს დოკუმენტი ადამიანის ვაჭრობის რეგულაციის თეორიულ საფუძველს ქმნის საერთაშორისო სამართლისათვის. იგი აცხადებს, რომ: „ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი თავისი განუყოფელი და განუსხვისებელი უფლებებით" (მუხლი 1), „სქესის ნიშნით სხვაობის გარეშე" (მუხლი 2) და რომ „ყველას აქვს პიროვნების სიცოცხლის, თავისუფლების და უსაფრთხოების უფლება" (მუხლი3). კონკრეტულად ტრეფიკინგთან დაკავშირებით კი ის აცხადებს: „არავინ უნდა იმყოფებოდეს მონობაში და კატორღულ შრომაში; მონობა და მონებით ვაჭრობა, გამოხატული ნებისმიერი ფორმით აკრძალული უნდა იქნას (მუხლი 4)."[29] შემდეგი ერთ-ერთი მთავარი საერთაშორისო სამართლებრივი ნიშანსვეტი ტრეფიკინგის წინააღმდეგ მიმართულ კამპანიაში იყო გაეროს 1979 წლის „კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ[30], უძლიერესი იარაღი ადამიანის უფლებების დარღვევის წინააღმდეგ საბრძოლველად. კონვენცია მიზნად ისახავს აღმოფხვრას გენდერული დისკრიმინაცია ქალთა მიმართ მოპყრობის საერთაშორისო სტანდარტების დაწესების გზით. CEDAW ეხება ორივეს, როგორც იძულებითი შრომის, ისე იძულებითი სექსუალური ექსპლუატაციის საკითხებს. იგი ქალთა სექსუალურ ექსპლუატაციას და პროსტიტუციას მიიჩნევს გენდერული უთანასწორობის გამომხატველ პრაქტიკად და მიმართავს მონაწილე სახელმწიფოებს „მიიღონ ყველა სათანადო ზომა, რათა აიკრძალოს ქალებით ვაჭრობის ყველა ფორმა და ქალთა პროსტიტუციის ექსპლუატაცია." კიდევ უფრო გაძლიერებული პეკინის სამოქმედო პლატფორმის მიერ, რომელიც მიღებულ იქნა 1995 წელს გაეროს გლობალური ქალთა კონფერენციაზე, დოკუმენტი ავალდებულებს სახელმწიფოებს შესაბამისი ზომების მიღებას, რომ გადაჭრას „ძირეული მიზეზების" საკითხი, რაც კავშირშია ქალთა და გოგონათა ტრეფიკინგთან და პროსტიტუციასთან, კომერციული სექსის სხვა ფორმებთან,

[25] პალერმოს ოქმი, მუხლი 9, პარაგრაფი 5.

[26] *Goodman, Jill Laurie,* What We Know About Human Trafficking: Research and Resources, in Goodman, Jill Laurie/Leidholdt, Dorchen A., Lawyer's Manual on Human Trafficking, pursuing justice for victims, 2013, p. 69, ხელმისაწვდომია: https://www.nycourts.gov/ip/womeninthecourts/pdfs/lmht.pdf.

[27] ევროპის საბჭოს კონვენცია ადამიანებით უკანონო ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, განმარტებითი მოხსენება, მე-6 მუხლი, პარაგრაფი 108.

[28] ევროპის საბჭოს კონვენცია ადამიანებით უკანონო ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, განმარტებითი მოხსენება, მე-6 მუხლი, პარაგრაფი 110.

[29] *Bien-Aimé, Taina/Rutman, Leah,* International Law and Human Trafficking, in Goodman, Jill Laurie/Leidholdt, Dorchen A., Lawyer's Manual on Human Trafficking, pursuing justice for victims, 2013, p. 63, ხელმისაწვდომია: https://www.nycourts.gov/ip/womeninthecourts/pdfs/lmht.pdf.

[30] ტექსტში შემოკლებულია, როგორც CEDAW.

იძულებთ შრომასა და იძულებით ქორწინებასთან, მათ შორის ისეთი ზომების მიღებით, რაც გულისხმობს კანონმდებლობის გაძლიერებას ქალების და გოგონების უფლებათა დაცვის და დამნაშავეთა დასჯის თვალსაზრისით.[31] გენდერული პერსპექტივიდან საკითხის შეფასების ზოგადი ჩარჩო თან უნდა სდევდეს რელევანტურ საკითხზე როგორც კანონმდებლობის დასახვეწად გადადგმულ, ასევე პრაქტიკულად განხორციელებულ სისხლის საპროცესო სამართლის ზომებს.

ამგვარი გენდერულად სენსიტიური საკითხების გამოვლინების ფონზე უნდა ითქვას, რომ პალერმოს ოქმის მე-9 მუხლის მე-5 ნაწილისა და ტრეფიკინგის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლში მოცემული მოთხოვნის აკრძალვის გამოძახილად და მისი იმპლემენტაციის კუთხით გასატარებელ ზომად უნდა მივიჩნიოთ კონვენციის მე-19 მუხლით დადგენილი მსხვერპლის მომსახურებით სარგებლობის კრიმინალიზაცია, ქმედება, რომელიც მისი სარეკომენდაციო და არა სავალდებულო ხასიათიდან გამომდინარე, მეტ-ნაკლები სახესხვაობით აისახა ქართულსა და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობაში. აღნიშნული დებულების თანახმად, მხარეებმა უნდა განიხილონ ადამიანებით უკანონო ვაჭრობის მსხვერპლის მომსახურებით შეგნებულად სარგებლობის სისხლის სამართლის დანაშაულად გამოცხადება. კონვენციის ავტორებს ტექსტში ამ დებულების შეტანა რამდენიმე მოსაზრებამ უკარნახა. უმთავრესი იყო ექსპლუატირებულ ადამიანებზე მოთხოვნის – რაც ადამიანებით უკანონო ვაჭრობის მამოძრავებელია – შესუსტების სურვილი.[32]

### ა) „მოთხოვნის“ შემცირების მისაღწევად შეტანილი ცვლილება საქართველოს მატერიალურ სისხლის სამართლის კანონში

ქართულ სისხლის სამართლის კანონში კონვენციის მე-19 მუხლით დადგენილი რეკომენდაცია საქართველოს სსკ-ის 143[3] მუხლის შემოტანით აისახა, რომელიც დანაშაულად აცხადებს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის (დაზარალებულის) მომსახურებით სარგებლობას. როგორც ევროპულ, ასევე ეროვნულ დონეზე, კონვენციის მე-19 მუხლში ჩადებული დებულების სამიზნეა სექსუალური ექსპლუატაციის, იძულებითი შრომის თუ სამსახურის, მონობისა თუ მონობის მსგავსი პრაქტიკის, მომსახურებისა თუ ორგანოების ამოცლის მიზნით ტრეფიკინგის მსხვერპლის კლიენტი.[33] მაშასადამე, ეს ნორმა, ისევე როგორც საქართველოს სსკ-ის 143[3] მუხლი, მიმართულია კონვენციით გათვალისწინებული ნებისმიერი სახის ექსპლუატაციის მსხვერპლის კლიენტზე. ამ ნორმის მიხედვით, დანაშაულად შეიძლება ჩაითვალოს, მაგალითად, ბიზნეს-მესაკუთრის მიერ ადამიანით მოვაჭრეების მხრიდან მიწოდებული მუშახელის შეგნებული გამოყენება. ამ შემთხვევაში მისი მოქმედება ტრეფიკინგად ვერ შეფასდება, რადგან იგი თავად არ ახდენდა მსხვერპლთა გადაბირებას და დამოუკიდებლად არ გამოუყენებია ტრეფიკინგის დეფინიციით გათვალისწინებული რამე საშუალება. სამაგიეროდ იგი დამნაშავე იქნება მსხვერპლის მომსახურებით სარგებლობაში.[34] საქართველოს სსკ-ის 143[3] და კონვენციის მე-19 მუხლის მიხედვით, სისხლის სამართლის დანაშაულის ჩამდენად შეიძლება ჩაითვალოს მეძავის კლიენტი, რომელმაც იცის, რომ ეს მეძავი ადამიანებით უკანონო ვაჭრობის მსხვერპლს წარმოადგენს და ის ადამიანიც, რომელმაც შეგნებულად გამოიყენა ადამიანებით უკანონო მოვაჭრეთა მომსახურება რაიმე ორგანოს შესაძენად.[35] ვინაიდან ტრეფიკინგის მსხვერპლთა უმრავლესობა ქალია და თანაც სექსუალურ ექსპლუატაციას დაქვემდებარებული, ამდენად გონივრულია, ამ საქმეთა გამოძიებისა და ტრეფიკიორთა მიკვლევისა და მათი სისხლისსამართლებრივი დევნის თვალსაზრისით მეტი აქცენტი სწორედ ამ მოწყვლად ქალთა კატეგორიაზე გაკეთდეს, რომლებიც მომსახურებას უწვენ კლიენტებს. ამასთან, ისიც უნდა და-

[31] *Bien-Aimé, Taina/Rutman, Leah,* International Law and Human Trafficking, in Goodman, Jill Laurie/Leidholdt, Dorchen A., Lawyer's Manual on Human Trafficking, pursuing justice for victims, 2013, p. 64-65, ხელმისაწვდომია: https://www.nycourts.gov/ip/womeninthecourts/pdfs/lmht.pdf.

[32] ევროპის საბჭოს კონვენცია ადამიანებით უკანონო ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, განმარტებითი მოხსენება, პარაგრაფი 229, 230.

[33] ევროპის საბჭოს კონვენცია ადამიანებით უკანონო ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, განმარტებითი მოხსენება, პარაფრაგი 231.

[34] *ლეკვეიშვილი, მზია/თოდუა, ნონა,* წიგნში: სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირველი, ავტორთა კოლექტივი, 2016, გვ. 278.

[35] ევროპის საბჭოს კონვენცია ადამიანებით უკანონო ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, განმარტებითი მოხსენება, პარაფრაგი 232.

ზუსტდეს, რომ ეს ნორმა (ტრეფიკინგის ევროპული კონვენციის მე-19 მუხლი და შესაბამისი საქართველოს სსკ-ის 143[3] მუხლი) არ გულისხმობს დასჯადობას ზოგადად მეძავის მომსახურებით სარგებლობისათვის. ევროკონვენცია პროსტიტუციის ექსპლუატაციას და სექსუალური ექსპლუატაციის სხვა ფორმებს ეხება მხოლოდ ადამიანებით ვაჭრობის კონტექსტში.[36]

საგულისხმოა, რომ საქართველოს სსკ-ის 143[3] მუხლით გათვალისწინებულ ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურებით სარგებლობას დაემატა შენიშვნა, რომელიც ითვალისწინებს სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელი ორგანოს გადაწყვეტილებით ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლის მომსახურების მიმღები პირის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას, თუ იგი ითანამშრომლებს სამართალდამცავ ორგანოებთან და გამოძიების დაწყებამდე ნებაყოფლობით განაცხადებს ჩადენილი ქმედების შესახებ სისხლის სამართლის მწარმოებელ ორგანოში. როგორც ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში[37] მიუთითებს, ქართველი კანონშემოქმედის ეს ქმედება ნიშნავდა, რომ სახელმწიფოს მხრიდან გადაიდგა ნაბიჯები, რომელთა მიზანი იყო სამართლებრივი ჩარჩოს შექმნით სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის ბარიერის მოხსნა (განსაკუთრებით მაშინ, როცა მტკიცების სირთულის პრობლემა რეალურია) და მომსახურების მიმღები პირების მიერ ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლთა მომსახურებით სარგებლობის შეტყობინების წახალისება, რათა ხელი შეწყობოდა, ერთი მხრივ, დანაშაულთან ეფექტიან ბრძოლას, ხოლო მეორე მხრივ, საზოგადოებისა და სამართალდამცავი ორგანოების მჭიდრო თანამშრობლობას ტრეფიკინგთან ბრძოლის სფეროში.

[36] *ლეკვეიშვილი, მზია/თოდუა, ნონა,* წიგნში სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირველი, ავტორთა კოლექტივი, 2016, გვ. 278-79.

[37] ანგარიში შესრულებულია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს მიერ, გვ. 52-53.